საქართველოს უნივერსიტეტის
გ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ა

საქართველოს სახალხო მხატვარი

# რაღიშ თორდია

ფერწერა
გრაფიკა

PEOPLE'S ARTIST OF GEORGIA

# RADISH TORDIA

PAINTING
GRAPHICS



UDC(უაკ)
75.071.1(479.22)(083.824)
თ - 743

| | |
|---|---|
| პროექტის ხელმძღვანელი, სტატიის ავტორი | ნინო ხუნდაძე<br>საქართველოს უნივერსიტეტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი<br>ხელოვნებათმცოდნე, დოქტორი |
| The head of the project and the author of the article | Nino Khundadze<br>Chief Research Associate of The University of Georgia, Art Historian, Doctor |
| სტატიის ავტორი | ნინო ჩიხლაძე<br>საქართველოს უნივერსიტეტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი,<br>ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი |
| The author of the article | Nino Chikhladze<br>Chief Research Associate of the University of Georgia, Doctor of Art Studies |
| ფოტოგრაფი<br>Photographer | მირიან კილაძე<br>Mirian Kiladze |
| რედაქტორები | ნანა მრევლიშვილი<br>მარინა ჟღენტი<br>დერილ ფერნანდესი |
| Editors | Nana Mrevlishvili<br>Marina Zhgenti<br>Daryl Fernandez |
| მთარგმნელი | ირინე კუცია |
| The translator | Irine Kutsia |
| ყდის დიზაინი და კომპიუტერული უზრუნველყოფა | თათია ქვლივიძე |
| Cover design and computer support | Tatia Kvlividze |
| ტექნიკური უზრუნველყოფა | იოსებ ქემაშვილი |
| Technical support | Ioseb Kemashvili |

ქართული გამოცემა, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა © 2023
რადიშ თორდია © 2023

Georgian Edition, The University of Georgia Publishing House © 2023
Radish Tordia © 2023

| | |
|---|---|
| მისამართი: მ. კოსტავას ქ. 77,<br>თბილისი 0171, საქართველო<br>ტელ.: 032 2 55 22 22 | Address: Kostava st. 77,<br>Tbilisi 0171, Georgia<br>Tel.: 032 2 55 22 22 |

ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია წინამდებარე გამოცემის  რომელიმე ნაწილის გამოქვეყნება, თარგმნა, ხელახალი პუბლიკაცია ან გადაცემა ნებისმიერი ფორმით თუ საშუალებით, ელექტრონულად (CD-Rom, ინტერნეტი, ა.შ.), მექანიკურად, მათ შორის, ასლის გადაღების, ჩაწერის, ინფორმაციის შენახვის თუ ამოღების ნებისმერი სისტემის მეშვეობით, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

All rights reserved. No part of this publication may be published, translated, reproduced, or transmitted in any form or by any means, electronically (CD-Rom, Internet, etc.), mechanically, including photocopying, recording, information storage or retrieval system, without the prior written permission of the University of Georgia Publishing House.

დაიბეჭდა საქართველოში
Printed in Georgia

ISBN 978-9941-9807-8-7

წინამდებარე კატალოგი (კატალოგი რეზონე) წარმოგვიდგენს ქართველი ფერმწერის, XX საუკუნის ქართველ 60-იანელთა თაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელის რადიშ თორდიას შემოქმედებას. კატალოგში შესულია მხატვრის მიერ სხვადასხვა დროს შესრულებული 311 ფერწერული და გრაფიკული სურათი, რაც რადიშ თორდიას შემოქმედებითი განვითარების უწყვეტ, სამოცდახუთწლიან ისტორიას ქმნის. კატალოგს ერთვის ხელოვნებათმცოდნეების – ნინო ხუნდაძისა და ნინო ჩიხლაძის სტატიები – მხატვრის შემოქმედების ანალიზი, დაფუძნებული კომპატრატიულ კვლევაზე. მაღალი ხარისხის ილუსტრაციები, ფერწერული სურათების საგანგებოდ გადიდებული დეტალები და სტატიები ერთობლიობაში შესაძლებელს ხდის რადიშ თორდიას შემოქმედება მთელი სიცხადითა და მომხიბვლელობით წარმოჩნდეს, კიდევ ერთხელ განისაზღვროს მისი მნიშვნელობა და განსაკუთრებული ადგილი ქართული მხატვრობის ისტორიაში.

The present catalogue (Catalogue Raisonné) presents the oeuvre of Georgian painter Radish Tordia, one of the important representatives of the Georgian generation of the 1960s. The catalogue includes 311 paintings and drawings produced by the artist at different times, which creates a continuous, 65-year history of Radish Tordia's creative development. Articles by art historians - Nino Khundadze and Nino Chikhladze - analysis of the painter's work, based on comparative research, are attached to the catalogue. Illustrations of high resolution, specially enlarged details of paintings and articles as a whole make it possible to present Radish Tordia's work with all its clarity and charm, to define once again its importance and special place in the history of Georgian art.

# ფერმწერი რადიშ თორდია
# PAINTER RADISH TORDIA

გაზაფხულითა და თავისუფლებით შთაგონებული ფერწერის სამყაროში მოვხვდი – ეს არის უპირველესი განცდა, რაც რადიშ თორდიას სახელოსნოში სტუმრობისას დამეუფლა. ვათვალიერებდი სურათებს, ვისმენდი მათი ავტორის დინჯ საუბარს ცხოვრების საინტერესო მომენტების, ფერწერის, მხატვრობისა და მუსიკის ურთიერთმიმართების, გამოფენების, მუზეუმების, ადამიანების შესახებ და ამგვარად გავხდი მისი სამყაროს თანაზიარი. რადიშ თორდიას მხატვრობის ესთეტიკა, მელოდიურობა, სამყაროს აღქმის ლირიკული ხასიათი და საკუთრივ ფერწერის გამორჩეული ოსტატობა მთელი სიცხადით შევიგრძენი იმ სამუშაო გარემოში, სადაც მისი შემოქმედების უდიდესი ნაწილია დაცული – სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მასალით შესრულებული სურათები. თვალნათლივ ხედავ მხატვრის განწყობას, ცხოვრების განსხვავებული მომენტებისას რომ დაუფლებია, მისი ინტერესის ობიექტებს, მათ მიმართ დამოკიდებულებას, ფერით თხრობის ოსტატურ მანერას, იმასაც, თუ როგორ მატერიალიზდება ფერი და იძენს იმ სიმყარეს, რომელიც ფორმაქმნადობის საფუძველი ხდება მისსავე ტილოზე. ყველაზე საინტერესო კი მხატვრული ძიების უწყვეტი, მუდმივი პროცესია, რომელსაც სტუდენტობისას, 1957 წელს შექმნილი პორტრეტიდან შეიძლება გაადევნო თვალი (8). უნებლიეთ ჩნდება საუკუნეებისა თუ ათწლეულების წინანდელი ხელოვნების ასოციაციები, რომლებიც კლასიკური ფორმებისა და მათი თანამედროვე ინტერპრეტაციის, ასევე, სრულიად ახლებურად გააზრებული, ინდივი-

In the world of painting, I have been greatly inspired by the twin ideas of spring and freedom. Looking at the paintings of Radish Tordia, it felt like I was listening to an unhurried conversation of the painter on the visionary moments of life, in the interrelation of painting and music, exhibitions, museums, and people. The aesthetic melodiousness of Radish Tordia's paintings, its perceptive lyrical character and the outstanding mastery of painting in his creative environment with various materials have left a deep impression on me. You see the artist's vision develop over his lifetime, showing you the objects of his interest, his attitude towards them, the masterful manner of narration in colours, how colour is manifested and acquires a firmness which becomes the foundation for creation on his canvas. The most interesting is the continuous, constant process of artistic search, which can be traced back to the portrait created in 1957 (8) in his student years. Allusions to art of the past centuries and decades appear involuntarily, which are perceptible in the interrelation of classical forms and their modern interpretation, as well as



გოგონები პლაჟზე
1962. ტილო, ზეთი
140 x 160

Girls on the Beach
1962. Oil on canvas
140 x 160

გოგონას პორტრეტი. 1957
ტილო, ზეთი. 60 x 50

Portrait of Girl. 1957. Oil on canvas. 60 x 50

დუალური სახვითი მეთოდისა თუ სტილური თავისებურებების ურთიერთმიმართებაში გამოკრთება და სასიამოვნო საფიქრალს გიჩენს, გამოგზაურებს, გაგააზრებინებს, უწინ ნანახსა და განცდილს სრულიად სხვაგვარად დაგანახებს და განგაცდევინებს. ეს არის შემოქმედება სამყაროს მსგავსად უწყვეტად განმეორებადი პროცესებითა თუ თემებით, თუმცა, მკვეთრად განსხვავებული აღქმის თავისებურებით, დეტალებით, მუდმივად საინტერესო, მოულოდნელი რაკურსებით, მის ორიგინალურობას რომ განსაზღვრავს.

რადიშ თორდიას შემოქმედების პირველი ნიმუშები XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისშია შექმნილი, საინტერესო დროს, ხრუშჩოვის „დათბობის" ეპოქის შემდგომ, ერთგვარი „გარდატეხა" რომ მოახდინა საბჭოთა კავშირის რეალობაში.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა კავშირის მთავრობამ ნ. ხრუშჩოვის მეთაურობით დაბნეული საზოგადოების დამშვიდების ყველაზე ეფექტურ ხერხად სტალინის რეჟიმის მიერ „ხალხის მტრების" წინააღმდეგ გაჩაღებული კამპანიის მომენტალური შეწყვეტა და ამნისტიების გამოცემა მიიჩნია. პრესა ახლებურად აშუქებდა ინფორმაციას საზღვარგარეთ მიმდინარე მოვლენების შესახებ. გაჩნდა უცხოეთის ქვეყნებთან მინიმალური ურთიერთობის შესაძლებლობები. უცხოელი ჟურნალისტები აქტიურად იღებდნენ აკრედიტაციას საბჭოთა კავშირში სამუშაოდ. ყველაზე მნიშვნელოვანი კი მაინც 1930-იან წლებში რეპრესირებულთა რეაბილიტაციის პროცესი იყო. ნ. ხრუშჩოვის შუამდგომლობით ასევე გადაიხედა ა. ჟდანოვის დადგენილებები კულტურის საკითხებზე (Жданов, 1952) და გადაწყდა ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე ცენზურის შესუსტება (მაგ. გამოქვეყნდა ა. სოლჟენიცინის ეპოქალური ნაწარმოები „ივან დენისოვიჩის ერთი დღე"). არსებული ცხოვრებისთვის ნონკონფორმიზმის, უთანხმოების და, მითუმეტეს, იატაკქვეშა ხელოვნების მნიშვნელობა ჯერ კიდევ უცნობი იყო. ოფიციალურად მიღებული დოქტრინის უგულებელყოფა აღიქმებოდა ხელოვნების განვითარების ბუნებრივ თავისებურებად, რომელიც ადამიანისა და გარემომცველი სამყაროს დაუსრულებლად ცვალებადი ხასიათის ურთიერთობებით იყო განპირობებული.

his individual painting method - conceptualized in a totally new manner - and stylistic peculiarities, which lead an experience of reality from a totally different viewpoint than what has been seen and experienced before. This is creation with its processes and themes continuously recur with drastically different peculiarities of perception, details, constantly interesting, unexpected foreshortenings, defining its originality.

The first creations of Radish Tordia's work were produced at the beginning of an interesting time in the 1960s, after the "Khrushchev Thaw", which was a turning point in the reality of the Soviet Union.

After the death of Stalin, the government of the Soviet Union, headed by N. Khrushchev, decided that the most effective way for calming a confused public was to encourage a momentary cessation of the campaign launched by Stalin's regime against the "enemies of the people" and to grant amnesties. The press covered information regarding the developments taking place abroad in a new and freer manner. The possibility of minimal relations with foreign countries appeared. Foreign journalists actively received accreditation for work in the Soviet Union. Most importantly, the process of rehabilitation of persons subject to repressions in the 1930s was a big change. By the mediation of N. Khrushchev and A. Zhdanov's resolutions on cultural issues (Жданов 1952), a decision was undertaken to relax censorship on literary and artistic works (e.g., the publication of One Day in the Life of Ivan Denisovich, the epoch-making work by A. Solzhenitsyn). The importance of non-conformism, disagreement, and underground art went unappreciated thus far. Ignoring the officially accepted doctrines was perceived as a natural peculiarity of art, which was determined by relationships of infinitely changeable char-

(Молева 1989: 24-26). საზოგადოებაში თავსმოხვეული დოგმებისაგან ხელოვნების გათავისუფლებისა და მხატვრული შემოქმედების თავისუფალი განვითარების იმედი ჩაისახა. თუმცა, „დემოკრატიზაციის“ ეს პროცესი ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ცხადია, საბჭოთა კავშირის ახალ ხელმძღვანელობას საბჭოთა სისტემის შეცვლა არ სურდა და არც შეეძლო. მიხვდნენ რა, რომ მსგავსი, თუნდაც მოჩვენებითი გადაწყვეტილებები იდეოლოგიური ცვლილების საფუძვლად იწყებდა გადაქცევას (მაგ. ბელიუტინის სტუდია და ტაგანკის გამოფენა), „ფორმალიზმს“ კვლავ ომი გამოუცხადეს. თუმცა, დროებითმა ლიბერალიზაციამ ხელოვნების შემდგომ განვითარებაზე აშკარა გავლენა მოახდინა, განსაკუთრებით - საბჭოთა კავშირის პერიფერიებში.

1950-იანი წლების ბოლოსა და 1960-იანი წლების დასაწყისში საქართველოში მოღვაწე თაობის მნიშვნელოვანი ნაწილი ოფიციალური დოგმებისა და მოთხოვნებისგან შეგნებულად და თანმიმდევრულად გათავისუფლდა. დაიწყო მხატვრული ძიების საინტერესო პროცესი. მათ შინაგანი თავისუფლების გამოხატვის საინტერესო ფორმებს მიაგნეს, არსებულ რეალობასთან ერთგვარად ადაპტირდნენ. უწყვეტი ეროვნული მხატვრული ტრადიცია კი ახლებური აზროვნების საუკეთესო საფუძველს წარმოადგენდა. ამგვარად, 1930-50-იან წლებში საბჭოთა რეჟიმის მიერ დამკვიდრებული „იდეალური გმირის“ სტერეოტიპს უმტკივნეულოდ და შეფარვით ჩაენაცვლა მხატვრული მეტყველების მშვიდი, უშუალო, ბუნებრივი კილო და „ადამიანური ადამიანი“.

სწორედ ამ დროს, 1962 წელს, რადიშ თორდიამ დაასრულა სწავლა სამხატვრო აკადემიაში სადიპლომო ნამუშევრით *გოგონები პლაჟზე (8)*. მონუმენტური ხასიათის ტილო, განზოგადებული და ტიპიზებული ფორმით ახალგაზრდული სილაღისა და თავისუფლების შეგრძნებას იწვევს. კომპოზიციური სტრუქტურის გააზრება, ფერისა და სინათლის შესაძლებლობებისადმი განსაკუთრებული ინტერესი ახალგაზრდა მხატვრის მიერ შექმნილ ფერწერულ სურათზე, იმდროინდელი მისწრაფების გამომხატველია. დროთა განმავლობაში კი, საკუთარ თავთან პირისპირ, გაცილებით თამამი ექსპერიმენტატორი გახდა, საინტერესო მხატვრული მიგნებებითა და ვარიაციებით.

acter between the human being and his surrounding world. The hope for liberation of art from imposed dogmas and free development of artistic creation grew stronger in the public's mind. Obviously, the new authorities of the Soviet Union neither wished nor were able to change the Soviet system (Молева 1989: 24- 26). When they understood that similar, even illusory, decisions were beginning to turn into the foundation of an ideological change (e.g., the Belutin Studio and the Taganka Exhibition), war was again declared against "formalism". Nevertheless, the temporary liberalization had a clear influence on the subsequent development of art, especially in the peripheries of the Soviet Union.

At the end of the 1950s and beginning of the 1960s, a considerable part of artists of the generation working in Georgia consciously and consecutively became liberated from the official dogmas and requirements. An interesting process of artistic exploration started. They discovered interesting forms of expression of inner freedom and adapted themselves to a certain extent to the existing reality. The uninterrupted national artistic tradition represented an excellent foundation for a new way of thinking. Thus, the stereotype of the "ideal hero" established by the Soviet regime in the 1930s-50s was smoothly and covertly replaced by the calm, immediate, natural mood of artistic speech and the "human man".

Exactly at that time, in 1962, Tordia graduated from the Academy of Arts with his culminating project entitled *Girls on the Beach (8)*. It is a work of monumental character, evoking a feeling of carefree youthfulness and freedom. The interpretation of compositional structure, together with a special interest in the possibilities of colour and light, are expressive of the aspirations of that period. In due time, Tordia would become a much bolder experimenter making use of several variations upon the theme, and in doing so, he found a more personalized voice.

შემოქმედების ადრეულ ეტაპზე რადიშ თორდიას, ისევე, როგორც სხვა არაერთი მხატვრის, ინტერესის საგანი ხელოვნების ტრადიციული, ეროვნული თავისებურებები ხდება. შუა საუკუნეების, ასევე XIX-XX საუკუნეების ქართული მხატვრობისა და ხალხური შემოქმედებისათვის დამახასიათებელ კომპოზიციურ, დეკორატიულ, ფერადოვან, რიტმულ თუ ხაზოვან-პლასტიკურ საწყისებს იგი თვითგამოხატვის, ინდივიდუალური ინტერპრეტაციის, სახოვანი მეტაფორის შესაქმნელად მიმართავდა, ხოლო თემატურ თუ სტილურ გამოცდილებასთან ზიარება შემოქმედებით აზროვნებას განზოგადების ახლებური ფორმებისკენ უბიძგებდა. შედეგად სხვადასხვა ჟანრში შესრულებული სურათების მთელი კოლექცია შექმნა – ნატურმორტები, პორტრეტები, ეპიკური ხასიათის მრავალფიგურიანი კომპოზიციები, რომლებშიც არქაული ფორმის თანამედროვე ინტერპრეტაციას ვხვდებით, სხვადასხვა შემთხვევაში განსხვავებულად გააზრებულს.

1960-იანი წლების პირველ ნახევარში შექმნილ სურათებზე თავს იჩენს რადიშ თორდიას ინტერესი პოსტიმპრესიონისტული მხატვრობის ფილოსოფიის, მისი მეთოდის მიმართ. მხატვარი სამყაროს მარადიულ პლანში ხედავს, მის ფერწერულ განსახიერებას ქმნის. ფერით მოდელირება, ფორმის ფერით „კონსტრუირება“ რადიშ თორდიას მხატვრული აზროვნების

In the early stages of his work, Tordia pursued a traditional and uniquely nationalist art, as was common at the time. He resorted to the compositional, decorative, colour, rhythmic and linear-plastic principles characteristic of Georgian art in the Middle Ages. He also used themes borrowed from 19th-20th centuries and folk art, where the focus was on self-expression and individual interpretation. The focus was on creation of a metaphoric image. As he gained thematic and stylistic experience, it led his creative thought towards new forms of generalization. Tordia began to create a whole collection of paintings in various genres: still-life, portraiture and multi-figured compositions of epic character. In these we encounter a modern interpretation of an archaic form, though one that is conceptualized differently in each case.

In the paintings produced during the first half of the 1960s, Radish Tordia's interest in the philosophy of Post-Impressionist painting and its method is obvious. The painter perceives the world from the viewpoint of eternity and creates its painterly embodiment. Modelling with colour – which is the "constructing" of form through application of colour – is the main character-

ნატურმორტი. 1964. ტილო, ზეთი. 60 x 53

Still Life. 1964. Oil on canvas. 60 x 53

ნატურმორტი როდინით. 1964 მუყაო, ზეთი. 49 x 60

Still Life with Pounder. 1964 Oil on cardboard. 49 x 60

მთავარი მახასიათებელია. სეზანისეული მანერა, რომელიც გარკვეულწილად თავს იჩენს მის ადრეულ ნატურმორტებში (11), შემდგომში სახეს იცვლის და ინდივიდუალურ სტილურ თავისებურებად გარდაიქმნება.

განსაკუთრებულად შთამბეჭდავია 1966 წელს შესრულებული ფერწერული სურათი *დედის პორტრეტი (13)*. ფორმის უკიდურესი განზოგადება, მკვეთრი ხაზოვანი პლასტიკა, ფერი, როგორც კომპოზიციის კონსტრუირებისა და სკულპტურული „ძერწვის" საუკეთესო საშუალება, ფერი, როგორც მეტაფორა – ამ ხერხების ორგანული სინთეზი მხატვრის ემოციასა და დამოკიდებულებას მეტყველად გამოხატავს. მონუმენტალიზმი და დროში გარინდება – ქალის პოზით, სხეულის ერთიანი, მართკუთხედში ჩაწერილი ფორმის და ხაზისა და ტონალური მონაცვლეობით უხეშად მოდელირებული სახის მტკიცე გამომეტყველებით რომ არის მიღწეული, მნიშვნელოვნებას სძენს დედის მხატვრულ სახეს და მის განუსაზღვრელ შინაგან სიძლიერეს ასახავს, ჰებსედის რიტუალისთვის განკუთვნილ ეგვიპტელ ფარაონთა ქანდაკებების მსგავსს. რიყის ქვით ნაშენი მკვიდრი კედლის გამოსახულება, მასტეხინით ოსტატურად დატანილ ფერთა ტონალური მონაცვლეობით რომ არის შექმნილი, ქალის ხასიათის სიმტკიცეს მეტად გამომსახველს ხდის, უფრო მეტიც – სახოვანი მატაფორაა დედის, როგორც სამყაროს საყრდენისა. მხატვარი პერსონაჟის დახასიათებისას კიდევ უფრო ღრმად მიდის, იმ ისტორიულ სინამდვილეში ეს მზესთან გაიგივებული შარავანდედია, სიწმინდის, მარადიული წრებრუნვის, სიცოცხლის სიმბოლო, რომლის განსახიერებაც არის დედა მხატვრისთვის.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აქცენტი – ხელების გამოსახულება ვედრების ჟესტით! მისი მიმართულება მაყურებლის მზერის მიმართულებას განსაზღვრავს. ხელებიდან თვალი ჯერ სხვადასხვა ფორმის თიხის ჭურჭელს, შემდეგ იისფრითა და რუხით შემოსაზღვრულ ნარინჯისფერ და ღვინისფერ ოთხკუთხა ლაქას აღიქვამს, ფერადოვანი დამუშავება, მის დინამიზმს რომ განსაზღვრავს, თეთრი და წითელი ღვინის დუღილის ასოციაციას ქმნის, ბოლოს კი წრე მუქი ღვინისფერი გობით იკვრება ქალის ფიგურასთან.

istic of Tordia's artistic thought. Paul Cézanne's influence, which to a certain extent appears in his early still lives (11), transforms within Tordia over time to become an individual stylistic feature.

The 1966 painting *Portrait of Artist's Mother (13)* is especially impressive. The organic syntheses of various methods such as (a.) the extreme generalization of form, (b.) sharp linear plasticity, (c.) use of colour as the best means of compositional structure and "sculpting" – i.e. using colour itself as a metaphor – renders the painter's emotion and attitude expertly. Monumentalism is achieved by the woman's posture: the uniform shape of the body set in a rectangle, and the firm expression of the face, roughly modelled by the alternation of line and tone. It adds significance to the artistic image of the mother. It reflects its infinite inner strength, associated with the sculptures of Egyptian pharaohs intended for the Heb Sed ritual. The representation of a solid wall built of cobblestones, which is created by the tonal alternation of colours applied skillfully with a palette knife, makes the firmness of the woman's character more expressive. Moreover, this is a metaphorical image of the mother as the foundation of the universe. In the characterization of the image, the artist goes deeper and resorts to a bold detail for that period – the depiction of a flat, circular-shape on the wall behind the woman's head. This represents the halo equated with the sun, the symbol of purity, eternal rotation, and life, the embodiment of which is the mother for the artist.

Another significant accent is the representation of the hands in the gesture of supplication. Its direction defines the direction of the viewer's eye. From the hands, the eye at first perceives the clay vessels of various shapes followed by the quadrangular orange and wine-coloured patch bordered by purple and gray. The colour treatment, defining its dynamism, evokes an association of fermentation of white and red wine, and finally the circle is closed by means of a dark wine-coloured flat bowl at the woman's figure.

დედის პორტრეტი. 1966
ტილო, ზეთი. 172 x 126

Portrait of Artist's Mother
1966. Oil on canvas
172 x 126